საქართველოს იუსტიციის მინისტრის

ბრძანება №1013
2024 წლის 10 ივლისი

ქ. თბილისი

„მართვის ავტომატური საშუალებების გამოყენებით ნორმატიული აქტის (ნორმატიული აქტის პროექტის) შედგენის, მიღების (გამოცემის), გაგზავნის, აღრიცხვის, სისტემატიზაციისა და გამოქვეყნების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №158 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„მართვის ავტომატური საშუალებების გამოყენებით ნორმატიული აქტის (ნორმატიული აქტის პროექტის) შედგენის, მიღების (გამოცემის), გაგზავნის, აღრიცხვის, სისტემატიზაციისა და გამოქვეყნების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №158 ბრძანებით (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 29/12/2011, სარეგისტრაციო კოდი: 040150000.22.027.016225) დამტკიცებული წესის პირველ მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-7 პუნქტი:

„7. იმ შემთხვევაში, თუ ნორმატიული აქტის (ნორმატიული აქტის პროექტის) გამოსაქვეყნებლად გადაგზავნა ამ მუხლის მე-4 და მე-6 პუნქტებით გათვალისწინებული მართვის ავტომატური საშუალების გამოყენებით ვერ ხორციელდება ტექნიკური მიზეზით, ნორმატიული აქტის მიღების (გამოცემის) უფლების მქონე ორგანო (თანამდებობის პირი) უფლებამოსილია, ნორმატიული აქტი (ნორმატიული აქტის პროექტი) გამოსაქვეყნებლად გადაგზავნოს მართვის იმ სხვა ავტომატური საშუალების გამოყენებით, რომელსაც მაცნე თავის საქმიანობაში იყენებს ან ტექნიკურად თავსებადია მასთან.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს იუსტიციის მინისტრი **რატი ბრეგაძე**